№ 208. სექტემბრის 26, ოთხშაბათი. 1866—1884 სექტემბრის 26, ოთხშაბათი. № 208.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

„დროების" რედაქცია — სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба".

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით — 8 მ.; 9 თვით — 7 მ 50 კ.; 8 თვით — 7 მ.; 7 თვით — 6 მ. 6 თვით — 5 მ.; 5 თვით — 4 მ. 50 კ.; 4 თვით — 4 მ; 3 თვ. — 3 მ.; 2 თვ. — 2 მ.; 1 თ. — 1 მ.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. А. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

დღესასწაულის გამო ხვალ, ხუთშაბათს, გაზეთი არ გამოვა.

ბარსეგან გიორგის-ძე რატიანი გულითადი მწუხარებით აუწყებს რა თავის ნათესავებს და ნაცნობებს გარდაცვალებასა მეუღლისა მისისა, ელისაბედ გიორგის ასულისა, უმორჩილესად სთხოვს მათ მობძანდენ მიცვალებულის გვამის გამოსვენებაზედ 27-ს ამ თვეს (ხუთშაბათს) დილის 9 საათზედ, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ფულინოვის სახლში, ან სიონის სობოროში, სადაც გადახდილ იქმნება პანაშვიდი და არა სამების ეკლესიაში, როგორც გუშინ იყო გამოცხადებული. (2—2)

## უშესანიშნავესი გამოგონება

თბილისი, სექტემბრის 26-ს.

მეცხრამეტე საუკუნე თავდება და ამ გამოგონებებით სავსე ეპოქას აგვირგვინებს ერთი გამოგონებაც, რომელმაც ისეთივე, თუ არ მეტი, ცვლილება უნდა მოახდინოს კაცობრიობის ცხოვრებაში, რა ცვლილებაც მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს მოხდა...

და ეს გამოგონება იმითია უფრო შესანიშნავი, რომ თუმცა ძირეულად შესცვლის იგი ადამიანთა და სახელმწიფოთა ერთი-ერთმანეთთან დამოკიდებულებას, მაგრამ არც მსხვერპლთა ჰეკატომბები დასჭირდება, [illegible] არც ყალო სისხლის ღვრა, არც თოფზარბაზნის ქექა-ქუხილი. პირ-იქით, მან იქნება პირი აუკრას ამ მშვიდობიანობის დამარღვეველ იარაღებს, გამოუსადეგრად გახადოს ის ციხესიმაგრეები, რომელთაც ეხლა მილიონობით ფულს ახარჯებენ და არხეოლოგიურ ნაშთებად-ღა გარდაჰქმნას.

მკითხველი მიხვდებოდა, რომ ჩვენ ვლაპარაკობთ იმ ჰაერში მფრინავ მაშინაზედ, რომლის გამოგონებაც დიდი ხანია სწადდათ და სწადიანთ განათლებული ქვეყნების საუკეთესო მეხანიკოსებს.

წარსული საუკუნის დასასრულს ძმებმა მონგოლფიერებმა საფრანგეთში პირველად სცადეს ჰაერში მფრინავი ბურთის გაკეთება. ზოიარა მას აქეთ ასმა წელიწადმა და ამ ბურთის ხმარება ადამიანის სურვილისამებრ შესაძლებელი ვერ აღმოჩნდა. ბურთი ჰაერში ქარს დაჰქონდა და არა იმ გვარს მაშინას, რომელსაც შიგ მსხდომთა სურვილისამებრ შესძლებოდა მისთვის ჯეროვანი მიმართულების მიცემა. თუმცა ასე იყო, მაგრამ პირის ამბიდავს პირს არ დაუზოგავს თავი და ასულა [illegible] ბურთით, ან სხვა-და-სხვა სამეცნიერო გამოცდილებათათვის, ან საომარი განზრახვით, და მრავალს სიცოცხლე კიდევაც შეუწირავს.

მაგრამ ეხლა სულ სხვაფრივ არის ჰაერში მოგზაურობის საქმე. ორს ფრანცუზის ინჟინერს მოუგონიათ იმისთანა ელექტრონული მაშინა, რომელიც იმ მიმართულებას მისცემს ბურთს, რა მიმართულებაც საჭიროა.

ამ გამოგონებამ დიდი ალიაქოთი მოახდინა, როგორც სამეცნიერო, ისე საზოგადოდ ყველა განათლებულ წრეებში. თუმცა პირველში ჰაერში მფრინავი მაშინა ვერ იქმნება ისეთი სრული, რომ რკინის გზებისა და ცეცხლის გემების მაგივრობა გასწიოს, მაგრამ შემდეგში, უეჭველია, იგი გააუქმებს რკინის-გზების ლიანდაგებსაც და ზღვაში მოცურავ გემებსაც. ამ მაშინით შესაძლებელი იქნება ერთი ხუთად და ათად უფრო სწრაფი სიარული ეხლანდელზედ და სიგრძე-სივრცე რამდენჯერმე შემოკლდება. მაგრამ მარტო ეს შედეგი არ ექნება ამ გამოგონებას. იგი იქმნება ბევრით უფრო რთული და ძნელია კაცმა ეხლავე წარმოიდგინოს, თუ როგორ შესცვლის ყოველ გვარ დამოკიდებულებას კაცობრიობის ცხოვრებაში: სახელმწიფოთა შორის სამზღვარნი მოისპობიან, რადგან ალარავითარი მნიშვნელობა აღარ ექნებათ; ციხე-სიმაგრეები ველარ შეიმაგრებენ ჰაერში ფერიებსავით მფრინავ ლაშკარს და ტამოჟნის ჩინოვნიკები — კონტრაბანდისტებს; და რაკი ასე იქნება, კარომ[illegible] ბრმა არ არის, მელნიც დედა-მიწის ზურგზედ ხორცმეტებს დაემზგავსებიან, სრულიად არ გააუქმოს და სხვაფრივ არ მოაწყოს თავისი ცხოვრება. ვინ მოსთვლის, რამოდენი ცვლილება მოსდევს მარტო ამ გაუქმებას, ვინ მოსთვლის, როგორ გაუადვილდება მაშინ ცხოვრება კაცობრიობის ულარიბესს ნაწილს, რადგან საჭირო აღარ იქნება ის ურიცხვი ხარჯი რომელიც ეხლა სხვა-და-სხვა უსარგებლო და გამოუსადეგარ საქმეს ხმარდება.

შეიძლება ზოგმა სთქვას, რომ მაგ ოცნებას მოკლე ფრთები ასხიაო. თუმცა პირველში დიდი ყაყანი ასტეხეს ამ ახალს გამოგონებაზედ, მაგრამ ბოლოს დროს როგორღაც მიჩუმდენო; ხმა ისმის, რომ ფრანცუზი ინჟინერების გამოგონება მარტო უქარო ამინდში გამოდგება და ქარს კი წინ ვერ დაუდგებაო.

თუნდა ასეც იყოს, მაინც იმედი არ უნდა გადავიწყვიტოთ, რომ ჰაერში მფრინავი მაშინა და იმისთანა მაშინა, რომელსაც თავის მატარებელი თანვე ექნება და ქარის მიმართულებაზედ არ ივლის, მალე იქნება მოგონილი. ამის ნიშნები მრავალია. ყოველთვის ასე ყოფილა, რომ, როდესაც რომელიმე გამოგონებისათვის დრო მომწიფებულია, სხვა-და-სხვა მხრიდამ მოისმის ხმა, რომ ამა და ამ კაცმა აქა და აქ ეს გამოგონება მოახდინაო, მაგრამ ხშირად ამ გამოგონებათ სხვა-და-სხვა ახალი ნაკლულევანებანი აჩენდებათ, რომელთა აცილებაც სწორედ ასეა ჰაერში მფრინავ მაშინის შესახებ და დიდი წინასწარ-მეტყველობა არ არის საჭირო იმის გამოცნობისათვის, რომ, ვიდრე მეოცე საუკუნე დადგებოდეს, ჰაერს ჰაერის მატარებლები ზოლ-ზოლად დაჰყოფენ, დროს ერთი ხუთად და ათად შეგვიმოკლებენ და მერე ისე, რომ არც დამპალი ტრავერსების ში-

## «დროების» ფელეტონი, სექტ. 26-ს

### უზრუნველი კიტსი

(ნამდვილი — არც ნამდვილი, ზღაპარი — არც ზღაპარი.)

(ინგლისური)

როდესღაც (დიდი ხანია მას უკან) ცხოვრობდა ღარიბი კაცი. ამას ერთი მუჭა მიწა ეჭირა და ისეთ დიდ ჯალაბობაში ტრიალებდა, რომ ვერასა ხდებოდა. ერთხელ ჰკითხა ცოლსა: — რა ვქნათო?...

— კიტსი უფროსი შვილია, ქვეყანა ლონიერი, წავიდეს ბედნიერების საძებნელად, მიუგო მეუღლემ.

— მართლაცა და წავალ, სთქვა კიტსმა.

მოხუცებულთ დალოცეს კიტსი და დაარიგეს: — პირდაპირ ბროშტაუნისაკენ წადი და იქ შენ ბევრ სამუშაოს იშოვნიო. კიტსმა გადაჰკოცნა ყველა და გასწია ქვეყნების სანახავად და თავის გამოსაჩენად.

ცოტახანს უკან ერთ ჯვარედინს გზას მიადგა და არ იკითხა კია ბროშტაუნისაკენ მიმავალი ამ ორ გზაში რომელი იყო: — „ბევრი მუშაობით თავი რად შევიწუხოო?! იფიქრა კიტსმა და გაუტია იმ გზით, სადაც ჩეროები უფრო ნაკლებად მოიპოვებოდა.

კიდევ ცოტა ხანს უკან კიტსი მიადგა ერთ ადგილს, საიდგანაც ოთხი გზა მიდიოდა.

— სად მიხვალ? გზას მე გიჩვენებ, ჰკითხა ერთმა მგზავრმა.

— მადლობელი ვარ, საჭირო არ გახლავთ, მიუგო კიტსმა: — ჩემთვის სულ ერთია, რომელ გზითაც უნდა წავიდე; და დაადგა იმ გზას, რომელიც თვალისთვის მოსაწონი იყო.

ფრინველები მხიარულად მღეროდენ, მზეს კაშკაში გაჰქონდა, ქარი მოზუზუნებდა და სიგრილეს ჰფენდა არე-მარეს; კიტსი არხეინად მიდიოდა წინ; ასე ბედნიერი და მხიარული არავის უნახავს კიტსი. ლაზათიანად გამოძღა კაკლით და მოცვით (черника), დაეწაფა წმინდა ნაკადულს და იქვე ლობის ძირას მიწვა დასაძინებლად.

მაინცა-და-მაინც ცხოვრებით ამ ფრინველებს მე ვჯობივარ, მაგრამ არც კი ამათი ცხოვრება ყოფილა დასაწუნი, სთქვა კიტსმა.

დილა ადრიანად ტოროლამ გამოაღვიძა კიტსი; წამოხტა და გაუდგა გზას; ვიდრე პური არ მოშივდა, მთელი გზა სულ უშტვენოა. გამოვიდა ტყიდგან და შევიდა ერთ ქალაქში, სადაც ბევრი, ძალიან ბევრი სახლები იდგნენ; აქ კი აღარ შეიძლებოდა მუქთა-ხორად გამოძღომა. მეტი ღონე არ იყო. ადგა კიტსი და შევიდა იქვე ახლო დუქანში და მიუჯდა სტოლს.

— რა მოგართვათ? ჰკითხა მედუქნემ.

— რადგანაც ძალიან მშიან, ჩემთვის სულ ერთია, რასაც მომიტან, მიუგო კიტსმა. მედუქნემ ქადის ერთი დიდი ნაჭერი მიუტანა და თან სტაქანი ლუდიც მიადევნა. ასე გემრიელად კიტსს პური არ უჭამია.

როდესაც ჭამას მორჩა კიტსი, მედუქნემ სამი პენსი უანგარიშა.

— კარგი, უთხრა კიტსმა, ჩემი ჯამაგირიდგან აილეთ, ეხლა მე ფული არა მაქვს, მშობლების სახლიდგან ბედის საძებნელად წამოვსულვარ და ჯერ ვერა მიპოვნია-რა.

— თუ ფულები არ გქონდა, სადილი რად მოითხოვე? ჰკითხა მედუქნემ.

— იმისთვისა — რომ პური მშიოდა, მიუგო კიტსმა: — და თუ ვინიცობაა არაფერ სამუშაოს არ მომცემთ, თქვენი ნება იყოს, მე ჩემ გზას არ დავკარგავ.

— არა, იყავი აქა: ცხენებს მოუარე და სალორე გამოხვეტე ხოლმე.

— ძალიან კარგი, ჩემთვის სულ ერთია, მიუგო კიტსმა.

კიტსმა ძალიან გულ-მოდგინედ იწყო სამსახური, ასე რომ როგორც პატრონს, ისე ცხენებს ძალიან შეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში გვქონდეს, არც მატარებლების ერთმანეთზედ მიჯახებისა.

## შინაური ქრონიკა

═ სექტემბრის 30-ს და ოქტომბრის 1-ს 3-ს საათზედ ნაშუადღევს დანიშნულია დოლი. ყველას კარგად მოეხსენება, რამდენადაც სასარგებლო არის ამ გვარი დროს გატარება, რომელიც ცხენის ჯოგის მეპატრონეთ აქეზებს და ცხენების ჯიშს აუმჯობესებინებს. მაგრამ არ შეგვიძლიან არ ვუსაყვედუროთ დოლების გამართვის კომიტეტს, რომ ამ დროს გატარებისთვის ოქტომბრის 1-ლი, ესე იგი ყველა ქართველისთვის ძვირფასი დღე ამოურჩევია. ამ დღეს მთელი მართლმადიდებელი ქართველობა თავს იყრის მცხეთაში და ლოცვასთან ერთად ეძლევა წარსულის მოგონებას და ამ დღეს სხვა რომელიმე დროს გატარება, თუნდა ეს დროს გატარება სასარგებლოც იყოს, მოუფიქრებლობაა. ყოველ გვარს საზოგადოებას უნდა ახსოვდეს ადგილი და ვითარება, რომელშიაც სცხოვრებს და პატივს უნდა სცემდეს ადგილობრივ სახალხო ჩვეულებათა და საქრისტიანო დღესასწაულთა.

თუნდა ამითაც რომ არ ეხელმძღვანელა დოლის გამმართავს კომიტეტს, ის მაინც უნდა ეფიქრა, რომ ამ დღეს ხალხს წმინდა ტაძარს ვერავინ მოჰგლეჯს და, მაშასადამე, დოლზედ ცოტა ხალხი დაესწრობა. თუ ეს [illegible] ფექველად შემოუვიდოდა.

═ ამას წინად გაზ. «ახალ-მიმოხილვამ» ჩვენ ამოვიღეთ ცნობა ქუთაისში მომხდარის იქაურ მაზრის უფროსის თანაშემწის მკვლელობის შესახებ, მაგრამ, როგორც სჩანს, ეს ცნობა არა მართლდება. დღევანდლამდე სხვა ნამდვილ წყაროთაგან არა ისმის-რა. ქუთაისიდამ ჩამოსულებიც უარ-ჰყოფენ ამ ამბის სიმართლეს.

═ ზუგდიდიდან გაზ. «ახალს მიმოხილვაში» იწერებიან, რომ იქ ცეცხლი წაჰკიდებია ადგილობრივი მცხოვრებლის ვაჭრის ფულარიას სახლს და მთლად გადამწვარა მთელის საცხოვრებლით. საცოდავს დაზარალებულებს საცვალი-ღა შერჩენიათ ზედ. ზუგდიდის საზოგადოებას სამაგალითო თანაგრძნობა აღმოუჩენია ფულარიასთვის და ორას თუმნამდის მოუგროვებია. იმათ შორის ისეთებიც აღმოჩენილან (მაგალითად მაზრის მმართველი ბ. ჯაყელი), რომელთაც ორმოც-ორმოცი მანათი შეუწირავსთ.

═ სექტემბრის 24-ს ჩუღურეთში ერთი სპარსელი მუშა ჩ—ი წისქვილზე ბორბლის ღერძს აკეთებდა და ამ დროს ფთამ წამოჰკრა, ჩაიხვია და რამდენჯერმე დაატრიალა. სპარსელმა მუშამ მაშინათვე სული განუტევა. («ნოვოე ობოზრენიე».)

═ კარგა ხანია ვადა გავიდა და დაპირებული მერის ხიდი ჯერ კიდევ ვერ დასრულდა. მიდამო ადგილები სავსეა სულ ამ ხიდის დასათავებელის მასალით. იმედი უნდა გვქონდეს, რომ ეს ხიდი მალე გათავდება და მით შეღავათი მიეცემა კუკიის ხიდს და ამ ხიდზე მოსიარულე ხალხსაც. გაზ. «კავკაზი» ამბობს, რომ მერის ხიდის გაეუთების დაწყობა შესაძლებელი იქნებაო.

═ «კავკაზსა» სწერენ რიონის სტანციიდამ, რომ სექტემბრის 24-ს, ღამით, ვიღაც ბოროტ-მოქმედნი დასცემიან რკინის გზის მოსამსახურეს და დაუჭრიათ. დაჭრილი და ცნობა-მიხდილი კაცი შემდეგ მუშებს ეპოვათ. ავაზაკნი დამალულან. ამ გვარი თავდასხმა საწყალ მოსამსახურეებზე ძალიან ხშირია ხოლმე, მეტადრე იმ დროს, როცა ესენი ჯამაგირს იღებენ.

„მწყემსის“ (15 სექ. 1884 წ. № 18) უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია მოწინავე წერილის ალაგას ცოდნითა და გრძნობით დაწერილი შენიშვნა «ქადაგებით სიტყვაზედ». ავტორი შეეხება ჩვენის სამღვდელოების მდგომარეობას და ამბობს:

«ყველა, ვისაც კი გული შესტკივა ჩვენი სასულიერო წოდებისთვის, ცხადად ჰხედავს ამ წოდების არა-სანატრელს მდგომარეობას. ჩვენში ეს წოდება არა სდგას ჯეროვანს გონებრივს და ზნეობრივს სიმაღლეზედ და ამისათვის ნამდვილს წინამძღოლობასაც ვერ უწევს საზოგადოებას. იმ დროს, როდესაც სხვაგან სასულიერო წოდების რაზმი დღითი-დღე ივსება განვითარებული და შესანიშნავი პირებით, ჩვენში სულ სხვასა ვხედავთ. აქ, საქართველოში, რაც დრო და ჟამი გადის, სასულიერო წოდების რაზმი რაღაც ვერ იწევს მაღლა. ეს რაზმი ივსება ისეთი მოდგაწე პირებით, რომელთაც უმნელდებათ თავიანთი სამღვთო მოვალეობის წმინდად, შეუმწიკვლელად აღსრულება და უმაღლესმა მთავრობამაც ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და სცდილობს როგორმე წამალი დასდოს ტკივილს, სენს. მართლაც და ვისთვის არ არის ცხადი. სემინარიელები და აკადემიელები აღარ კადრულობენ მღვდლობას, აღარ კადრულობენ წმიდა ტრაპეზის სამსახურს და მიესწრაფებიან საერო ასპარეზისაკენ? სხვაგან ასე არ არის. ინგლისში და საფრანგეთში სასულიერო წოდების რაზმი სავსეა შესანიშნავის ჩამამავლობის და განათლების მქონე პირებით და დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ex-პრეზიდენტის საფრანგეთის მარშლის მაკმაჰონის შვილი მღვდლად წავიდა. ძველს საქართველოშიც ისე იყო, როგორც ეხლა ევროპაშია. აქ, ჩვენ ძველს საქართველოში, სასულიერო წოდება შეადგენდა ერის პირველს წინამძღოლს წოდებას, ამ წოდებაში იდგწოდენ და მუშაკობდენ უპირველესის გვარის და ჩამამავლობის წარმამადგენელნი, შესანიშნავის სწავლის და ნიჭის მქონენი. ეხლა კი მათი ადგილი დაიჭირეს ისეთმა პირებმა, რომელნიც აჩრდილიც არ არიან ღირსეული წინაპრებისა. ამ გვარი მდგომარეობა თუმცა სათაკილოა ჩვენის სასულიერო წოდებისათვის, მაგრამ მას ბოლო მალე მოეღება და ეს წოდება მოკლე მომავალში დაიჭერს შესაფერს ადგილს ერის ცხოვრებაში, თუ კი გულ-მოდგინედ და მუყაითად შეუდგება თავის «განახლების», აღორძინების საქმეს. ამ სასარგებლო და სასიქადულო საქმისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა ის, რითაც ძლიერი იყო ჩვენი ძველი სასულიერო წოდება, საჭიროა ეროვნული სწავლა-განათლება. ყველგან, სადაც რომელიმე წოდებას უპირატესობა ჰქონია ერის ცხოვრებაში, ამისი უმთავრესი მიზეზი ეროვნული სწავლა ყოფილა. ასე იყო ევროპაში; ამასვე ვხედავთ ძველს საქართველოში.»

წერილის ავტორი არჩევს ზოგიერთების აზრს და «იკლიკანტურ უბნობას» იმაზე, ვითომ ქადაგება იმიტომ აღარ ისმის სამღვდელოთა მიერ, რომ ეკონომიური მიზეზები აბრკოლებენ სამღვდელოებასაო. ამ აზრს წერილის ავტორი არღვევს შემდეგის მსჯელობით:

როგორც მოგეხსენებათ, ეხლა ეკონომიური შეხედულობა სხვა-და-სხვა საზოგადოებრივს მოვლენაზედ მეტად ხშირია და ყველა მცოდნე და უვიცი ამ შეხედულობას ეპოტინება, მითი ეკლეულობს. მაგრამ არის ისეთი ჯგუფი მოვლენათა, სადაც სხვა მიზეზს უჭირავს პირველი ადგილი და არა ეკონომიურს. ამ გვარ მოვლენათა ჯგუფს

---

ყვარლდათ და ყოველ დღე მშვენიერი საჭმელებით იკვებებოდა ხოლმე.

სამი თვის სამსახურის შემდეგ, პიტსმა ჯამაგირი მიიღო და ბატონმა ესეც უთხრა:

— თუ ამ წერილს ქალაქის ლორდ მერს მიუტან, ჯამაგირს ერთი-ორად გაგიხდი.

— რა უშავს, სთქვა პიტსმა, თოვლი პატარაა და გაუდგა გზას.

წერილში ეწერა, რომ ხალხი გაჯავრებულია და ომი აღარა სურს. ლორდ-მერი გაწყრა და უბძანა პიტსის საპყრობილეში ჩაგდება. პიტს, არც აქ მოუფხანია თავი, აქაც ისევე ბედნიერად და მხიარულად გრძნობდა თავს—ჩაიწყობდა ჯიბეში ხელებს და ისე დადიოდა წინ და უკან, ხან პოლტაობდა და მთელი დღე შეუწყვეტლად უსტვენდა.

— შენ რატომ ასე მხიარულადა ხარ, ჰკითხა მეპატიმრემ.

— აქ ვიქნები, თუ სხვაგან—ჩემთვის სულ ერთია, მიუგო პიტსმა. მეპატიმრეს პიტსი ძალიან შეუყვარდა და თანაშემწედ გაიხადა: აგვეინებდა ხოლმე კარ-მიდამოს და არც ისე სასტიკად ექცეოდა, როგორც სხვებს.

დადგა გაზაფხული; ერთ მშვენიერ დღეს პიტსმა საპყრობილეს კარები ღია დაინახა.

— სადაც უნდა ვიყვე, ჩემთვის ხომ სულ ერთია, მოდი და წაველ აქედგანაო. სთქვა პიტსმა თავის გუნებაში და გამოვიდა საპყრობილიდგან; იარა ბევრი და ერთ ქალაქის დუქანში თავი ამოყო.

— რა გიყო რომ ერთი ხელი ლოგინის მეტი არა მაქვს, უთხრა მედუქნემ.

— მე მეტიც არ მინდა, მიუგო პიტსმა.

— ეს ლოგინი—ლოგინიც არ არის—ცარიელი ჩალა არის და სულ მაღლა ჩარდახში აღაგია, სთქვა მედუქნემ.

— რა უშავს, დაუმატა პიტსმა.

პიტსი ძალიან დაღალული იყო, ივახშმა გემოიანად და იქვე ახლო გაშლილ ლოგინში ჩაწვა.

— არა ღირს მაღლა ასვლა, აქ უფრო რბილად გამოვიძინებ, გაიფიქრა გულში პიტსმა. ლოგინი მედუქნისა აღმოჩნდა. ამ უკანასკნელს მთელი ღამე არ დაუძინია; შუაღამემ რომ მოატანა, პიტსის ჯიბეების გასაჩხრეკად წავიდა. ჩალაში ბევრი აფათურა ხელები, მაგრამ აქ პიტსი არ დაჰხვედრია. ადგა და იქვე დაიძინა. მეორე დღეს, დილით, მეტად გაბოროტებული წამოდგა. კიბეზე ჩამოსვლის დროს წაუსხლტა ფეხი და რიხინ-რიხინით წამოვიდა ძირს. ხმაურობამ გააღვიძა ყველა.

პიტსაც გამოეღვიძა და მიჰხვდა, რა ადგილსაც იმყოფებოდა; თავიდგან ჩხუბის ასაცდენად გადახტა ფანჯარაში და გაუდგა გზას.

იარა რამდენიმე დღე და ბოლოს ორ ერთმანეთზე წინაალმდეგ ჯარის რაზმს მიაწყდა.

— ურიგო არ იქნება, ვფიქრობ ამით თავ-პირის მტვრევასაო, სთქვა და მიჯდა მზის პირას, ამოიღო ყველი და პური და ულმერთოდ გამოძღა. შეცრივ ორივე რაზმის წინამძღოლები მიუახლოვდნენ პიტსს და ჰკითხეს: ვისი მხარე გიჭირავსო.

— არავისიო, მიუგო პიტსმა, მე ჩხუბისა არაფერი-რაო.

— არ შეიძლება უნდა იომო, უთხრეს ამათ, ამოირჩიე ერთ-ერთი მხარე.

— მადლობელი გახლავართ, სთქვა პიტსმა, აბა რა საქმე მაქვს თქვენს ომთანა; ისიც არ ვიცი, რისთვის ომობთ, და ვინ ომობთ?!.

— ეს არაფერიაო, უთხრეს იმათ; ამოირჩიე ერთ-ერთი მხარე, თორემ ემ საათში თავს გაგაგდებინებთ—და ორივემ ერთად ამოიძრეს ხმლები.

— კარგი, კარგი ვიომებ, უთხრა პიტსმა:—მეუბნებით იომეო და აბა ნახეთ, როგორ ვიომო. თუმცა კი არა მსურდა ომში გარევა, მაგრამ არაუშავს-რა.

— სთქვი, რომლის მხარე გინდა დაიჭირო, უთხრეს იმათ.

პიტსი წამოდგა, გაიხედა ირგვლივ და დაინახა რომ ერთი ჯარის რაზმი

ეკუთვნის რელიგია, ქრისტიანობრივი სარწმუნოება. ამ სარწმუნოების წარსული, ქრისტიანობის გავრცელების ისტორია ცხადად ამტკიცებს, რომ ქადაგებისათვის საჭირო ყოფილა და არის კიდევ უფრო ცხოველი გრძნობა, რწმენა, სიყვარული ჭეშმარიტებისადმი, ვიდრე სიმდიდრე და ეკონომიური კეთილმდგომარეობა. ხოლო ცხოველი გრძნობა, რწმენა, სიყვარული ჭეშმარიტებისადმი მოიპოვება ქრისტიანობრივის სწავლის საფუძვლიანად შეთვისებითა, მიღებითა. ამისათვის ღარიბს მოძღვარსაც ეყვარება ქადაგება, იგი მუდამ მოსამსახურე იქნება თავის კათედრისა, თუ კი მას სწავლა ექნება მიღებული და გრძნობა აღგზნებული. და რომ ეს მართალია, საეკლესიო ისტორიიდამ სჩანს. ქრისტიანობის გულ-მხურვალე მქადაგებელნი უმეტეს ნაწილად ღარიბნი და ღატაკნი ყოფილან. თვით პირველნი მოციქულნი, დაუღალავნი მქადაგებელნი ზეციური სწავლა-მოძღვრებისა, ღარიბნი იყვნენ. მისიონერობის ისტორია უფრო აშკარად ამტკიცებს ჩვენს აზრს...

თუ ეს ასეა, მაშ ეკონომიური სიღარიბე ჩვენის სასულიერო წოდებისა არა ყოფილა იმის მიზეზი, რომ შესწყდა ხმა ქადაგებისა. აქ სხვა უმთავრესი მიზეზია და სახელდობრ ისა, რომ ჩვენს მღვდლებს აკლიათ ეროვნული სწავლა-განათლება, საფუძვლიანი შეთვისება ქრისტიანობრივის სწავლისა. მხოლოდ ამ სწავლა-განათლებას შეუძლიან დაჰბადოს სასულიერო წოდებაში ღრმა რელიგიური რწმენა, ცხოველი გრძნობა და ამ რწმენას, გრძნობას ხომ თან მოჰყვება ძალუმი ხმა, ღაღადება, ქადაგება. რომ ყოველივე ეს მართალია, ამას ამტკიცებს ცხოვრება. თუ ეხლა «ნასწავლი სემინარიელი» არ არის მქადაგებელი, ამის მიზეზი ის როდი გახლავთ, რომ ეს განათლებული გვამი «სუფთად ვერ გამოდის საზოგადოებაში»—არა, აქ ის მიზეზია, რომ ხსენებული გვამი სუსტად არის მომზადებული. რა ქადაგება შეუძლიან ისეთს სემინარიელს, რომელმაც არ იცის არც სამშობლო საეკლესიო ისტორია, არც სამშობლო ქადაგებითი სიტყვის წარსული და აწმყო და სხვ.? თუნდაც დიდი სურვილი ჰქონდეს, მაინც ასეთი სემინარიელი ვერ შეიქნება მქადაგებელი, რადგანაც იგი არ არის მომზადებული ერის და საზოგადოების საქადაგებლად; სამოძღვროდ...

## წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო!

ვისაც კი ცოტაოდნად მაინც ესმის რკინის გზის მნიშვნელობა და მისი სარგებლობა, ის, რასაკვირველია, დიდის სიხარულით მიეგებებოდა იმ ხმას, რომელიც ამას წინედ მთელ შორაპნის მაზრას მოეფინა ყვირილის რკინის გზის გაყვანის შესახებ. და ეს ასეც იყო. ყველას სიხარულით, როგორც ამბობენ, ცამდის ხელი უწვდებოდა; ყველა ფიქრობდა, რომ თუ დღეს არა, ხვალ მაინც გამოიყვანებენ რკინის გზას ყვირილის სტანციიდგან ჭიათურამდისაო, სადაც ქვა-გუნდა არისო და მით მისცემენ შეღავათს ჩვენს დაცემულს ზემო-მხარს შორაპნის მაზრისასაო, სადაც დღეს ყოველგვარი პირნახული უგზოობისა გამო ნახევარ ფასადაც არ იყიდება. უმეტესმა ნაწილმა «დროების» მკითხველებმა კარგად უნდა იცოდეს, რომ წელს ბუნებით მდიდარს საწერეთლოში ფუთ ღვინოს მშვენიერის ღირსებისას ათ შაურად იძლეოდენ, მაგრამ მყიდველი მაინც არავინა ჰყავდათ, რადგან იქ შესვლა-გამოსვლა უგზოობისა გამო ყველას ძვირად უჯდებოდა. მე ვიცი რამდენიმე საწყალი გლეხი, რომელთაც ორი წლის წინედ, როცა უფრო დიდი მოსავალი იყო და წელსაც, რამდენიმე ფუთი ღვინო გადააქციეს, რადგან თავის დროზე მყიდველი არავინ გასჩენოდათ და ქვევრებში წახდენოდათ... გარდა იმ სარგებლობისა და მნიშვნელობისა, რომელიც რკინის გზასა აქვს ხალხის ეკონომიურს გაუმჯობესობაზე, მას აქვს დიდი გავლენა აგრეთვე გონებითს განვითარებაზე, განათლებაზე. ის, ესე იგი რკინის გზა, გამოიწვევს ხალხში სკოლების გახსნის მოთხოვნილებას და სწავლის შეძენის სურვილს და სხვ. მაგრამ მომიტევეთ, ბ. რედაქტორო, რომ მე ჩემი წერილის საგანს ავცილდი: ჩემი წერილის აზრი ის კი არ იყო, რომ მე ვისთვისმე რკინის გზის მნიშვნელობა ამეხსნა. არა, იმის მნიშვნელობა და სარგებლობა დღეს, ვგონებ, ყველამ იცის,—მე მინდა მხოლოდ შევიტყო თქვენი გაზეთის საშუალებით, თუ რა უყვეს იმ პროექტს, რომელიც ამას წინად გაზეთს «კავკაზში» იყო დაბეჭდილი ამ გზის შესახებ. დამტკიცა თუ არა ეს პროექტი მთავრობამ? ან და ხომ არ მოგვსპობია ჯერ იმედი ამ გზის გაყვანისა? ამ კითხვით მივმართავ განსაკუთრებით პატივცემულ გ. ე. წერეთელს, რომელმაც კარგად უნდა იცოდეს ამ გზის ბედი და იღბალი და იმედია არ დაიზარებს პასუხის მოცემას. თავის პასუხით ის დააკმაყოფილებს არამც თუ მარტო ჩემს სურვილს, არამედ მთელი შორაპნის მაზრის მცხოვრებლების წადილსა და ნატვრასა. ამ მაზრის მცხოვრებნი რამდენჯერმე ჩემთან მოქცეულან ამ კითხვებით, მაგრამ მე ვერც ერთხელ ვერ დამიკმაყოფილებია ისინი, რადგან მე თვითონ არა ვიცოდი-რა.

იასონ კაპანაძე.

ენკენისთვის 17.
ს. საჭილაო.

## სხვა-და-სხვა ამბავი

—

უმაღლესი წვერო, რომელზედაც კი ხალხი სახლობს, არის ბუდის ტაძარი „განგლე" ტიბეთში, სადაც 16.000 ფუტის, ანუ $4^1/_2$ ვერსის სიმაღლეზედ 20 მეტი ქურუმი (жрецъ) ცხოვრობს, სენტ-ბერნარდის მონასტრის ბერები, რომელნიც 8177 ფუტის სიმაღლეზედ იმყოფებიან, იძულებულნი არიან ხშირად ჩამოვიდნენ ხოლმე ძირს, რადგანაც სუნთქვა უჭირდებათ მთის გათხელებული ჰაერის გამო. ამ მონასტერში ათის წლის სამსახურის შემდეგ, იძულებულნი არიან სხვა საცხოვრებელი ადგილი იცვალონ.

როდესაც ძმათ შლაგინტვეიტთ გამოიკვლიეს ტიბეთში იბიგამინი, იმათ ერთ ღამეს ეძინათ 21.000 ფუტის, ანუ 6 ვერსის სიმაღლეზედ. ეს უმაღლესი ადგილია, რომელზედაც ევროპიელს ოდესმე გაუთევია ღამე. ინგლისელმა ბუნების მეძიებელმა ტინდალმა ერთხელ მონბლანზე 15.781 ფუტის სიმაღლეზედ გაათენა ღამე და ძლიერ კარგადა გრძნობდა თავის თავს; იმის გზის მაჩვენებელს კი ბევრად არაფრად ესიამოვნა აქ დასვენება.

1872 წ. ივლისის თვეში ჰაეროსტატით აფრინდენ ჰაერში ორი ინგლისელი: გლეიშერი და კოკსველი და საშინელს სიმაღლეზედ ავიდენ, სახელდობრ, 38,000 ფუტის, ანუ 11 ვერსისაზე! მინამდის აფრინდებოდენ ჰაერში, გლეიშერის მარღვი წამში 76 ჯერ სცემდა, ხოლო კოკსველისა—74 ჯერ. როდესაც 17,000 ფუტის სიმაღლეზედ იყვნენ, გლეიშერის მარღვი სცემდა 84-ჯერ და კოკსველისა — 100-ჯერ. 19,000 ფუტის სიმაღლეზედ პირი და ხელები სრულებით გაულურჯდათ. 26.000 ფუტის სიმაღლეზედ გლეიშერს გარკვევით ესმოდა თავის გულის ცემა და სუნთქვა უჭირდებოდა, ხოლო როდესაც 29,000 ფუტის სიმაღლეზედ ავიდენ, გრძნობანი დაუშულურდენ მას, მაგრამ ამ გარემოებამ მაინც არ დაუშალა ასვლა კიდევ 9,000 ფუტის სიმაღლეზედ; აქ კი უცებ დაუდუნდა ხელები და მიწაზედ დასაშვებად, იძულებული

---

გზის ჩასასვლელ გორაზე იდგა და პიტსზე ძალიანაც ახლო იყო—ეს ამ მხარეს ამოუდგა გვერდს. ბოლოს ელმოჩნდა, რომ ეს რაზმი ეკუთნოდა: მეფეს, შვეიცარებს, კარის კაცებს და ლაქიებს, მეორე რაზმს—ლორდმერები, მებულკეები, თერძები, ხელოსნები შეადგენდენ...

მეორე დღესვე დაიწყო ბრძოლა; პიტსს ხელში უზარმაზარი ზამბულაკი მიაჩეჩეს, დააყენეს ხის უკან და უბძანეს სროლა. გაისროლა პიტსმა და მებულკეს შიგ შუაგულში მიარტყა და ფქვილი გადმოაბნევინა; მერმე ჩასუქებულ თერძს შიგ ფეხში მოარტყა და ბოლოს ის სქელი ლორდმერიც გადააკოტრიალა, რომელმაც პიტსი საპყრობილეში ჩააგდო.

— ეს კი ღირსია, სთქვა პიტსმა, ამას რომ წერილისთვის ყურადღება მიექცია, საქმე ასე არ გაჯანჯლდებოდა.

თოფის წამლის სქელი ბურუსი დადგა, პიტსი კარის კაცებს და ლაქიებს ველარ არჩევდა თერძებისა და ხელოსნებისაგან; ალალ-ბედზე ისროდა და, სულ ერთი იყო, ვისაც უნდა მოჰხვედროდა, და ბევრიც გადაატრიალა.

— ჩემთვის სულ ერთია, ვისაც უნდა მოჰხვდეს ტყვია, სთქვა პიტსმა; წამალი მინამ მეგულება, სულ ასე უნდა ვისროლო.

როდესაც ომის კორიანტელი ჩაწყდა, პიტსმა შეჰნიშნა, რომ მისი რაზმი დამარცხებულიყო და მიფანტ-მოფანტულიყო.

— მოდი და მეც მოვკურცხლავ აქედგანაო, სთქვა პიტსმა, აბა რა საფუძველი მაქვს—მტერს ხელში ჩავუვარდეო!

სთქვა ესა და გაუდგა გზას; ერთი-ორი ნაბიჯი არ გადაედგა პიტსს, რომ ერთ პირქვე დამხობილ, დაიარაღებულ რაინდს წააწყდა.

— ქეთილო კაცო! მიშველე რამე, თორემ მტერი აქვე გამაქრობს, ვენესის ხმით სთხოვა პიტსს რაინდმა.

— ეს ჩემი საქმე არ უნდა იყოს, სთქვა პიტსმა, მაგრამ არა უშავს-რა, მაინც მივეშველები.

პიტსმა მოჰკიდა რაინდს ხელი და წამოაყენა ფეხზე. ორივე ერთად შეეფარნენ ტყეს. ამათ უკან დაედევნა მტრის რაზმი და ოთხი მათგანი კიდეც წამოეწია და შესძახა: «დაგვნებდით, თორემ თავებს დაგჰრითო».

— ჩემთვის ხომ სულ ერთია, სთქვა პიტსმა, მაგრამ სჯობს კი, რომ ვეომოთო.

— ამ სიტყვისთვის შენ ძალიან შემიყვარდი, უთხრა რაინდმა და ორივე მისცვივდნენ მტერს.

მტერი კარგად იყო დაიარაღებული, პიტსს კი კეტის მეტი არა ჰქონდა ხელში.

დაატრიალეს ხმლები, მაგრამ ვერაფერი გააწყეს; ამ დროს პიტსმა გამოჰკრა ერთ მტერთაგანს სარმა და ზღართა მოადინა. ამას წამოეშველა მეორე ამხანაგი და როგორც უნდოდა იგი წამოეყენებინა ფეხზე, პიტსმა ამასაც უთავაზა თავში კეტი და ესეც იქვე მიაწვინა.

რაინდიც ორ დანარჩენ დაიარაღებულთან იბძოდა; ხმლებს წკრიალი გაჰქონდათ. ბოლოს, როგორც იყო, მესამე მხედარიც დაჭრილი წაიქცა და რაინდმაც ცალი მუხლით წაიჩოქა. მეოთხე მხედარმა ისარგებლა რაინდის მდგომარეობით და, დააპირა თუ არა ხმლის შემოქნევა, ამ დროს პიტსმა სდრუზა ამასაც კეტი და მიაწვინა იქვე.

— რა ვქნა, რითი გადაგიხადო ეს სიკეთე, რომ სიკვდილს გადამარჩინე, უთხრა რაინდმა.

— მიშველე ეს შეჩვენებულები გულაღმა დავაწვინოთ, რომ ადგომა ვერ შესძლონ, მინამ სხვა არ მიეშველოს, უთხრა პიტსმა.

ამის შემდეგ რაინდი და პიტსი ძალიან დამეგობრდენ და საცხოვრებლად გასწიეს კოშკისაკენ.

(შემდეგი იქნება)

შექნა კბილებით ამოქმრო ჭაეროსტატის სტოპი.

—

**სოლომონის სამართალი.** ერთხელ როდისღაც პარიჟში მომრიგებელ მსაჯულთან მისულან ცოლი და ქმარი და უთხოვნიათ გაყრა; მაგრამ ცოლ-ქმრის შუა ცილობა იმაზედ ყოფილა — თუ როგორ გაიყონ შვილები, რომელნიც მათ სამი ჰყოლიათ; თვითეულს მათგანს უნდოდა თავისთვის ორი დაენარჩუნებინა. მსაჯული ცოტახანს ჩაფიქრდა და ჰკითხა მოდავეთ: თანახმანი არ გახდებით, რომ მაშინ გაიყარნეთ, როდესაც მეოთხე შვილიც გეყოლებათ? მაშინ ცილობაც აღარ გექნებათ. ცოლ-ქმარი როგორღაც უკმაყოფილოდ წავიდნენ. გაიარა ორმა წელიწადმა. ერთხელ მსაჯულს სადღაც შეხვდა ქმარი და ჰკითხა: «როგორ არის თქვენი და თქვენი ცოლის საქმე გაყრის შესახებ? ეხლა აღარ გინდათ ერთმანეთთან გაყრა»? — კიდევ ვერ მოხდება, — უპასუხა ქმარმა, — ეხლა ჩვენ ხუთი შვილი გვყავს და გაყრისთვის კი წყვილი რიცხვია საჭირო.

---

# ტელეგრამები

(,,ჩრდილოეთის სააგენტოსი'')

სექტემბრის 24-ს

**სევასტოპოლი.** დღეს, დიდი მთავრის ალექსი ალექსანდრეს ძის, ზღვათა სამინისტროს მმართველის, შავი ზღვის ფლოტის კომანდირის და სხვათა თანადასწრებით, დილის ამბით დაიწყეს ხმელი დოკის გეთება. პარაკლისის შემდეგ, დიდმა მთავარმა ჩასდვა ვერცხლის ფიცარი, წაუსვა ცემენტი და ვერცხლის ჩაქუჩით დალურსმა. ცერემონიის გათავების შემდეგ საუზმე იყო გამართული იახტა „ერეკლიკ“-ზე; საღამოზე ბალი იქნება საკეთილშობილო ვრებაში.

**კიევი.** ეპისკოპოსების ყრილობა ამ კვირია დაიხურება.

**პეკინი.** ჩინეთი აცხადებს, რომ იგი მზადაა ყოველის-ფერში დაემორჩილოს მედიატორების გარდაწყვეტილებას.

**პარიჟი.** ფრანცუზებმა დაიპყრეს ფორტი ტანშუი ფორმოზის კუნძულზედ-

სექტემბრის 25-ს.

**პეტერბურგი.** გენერალი გურკო დანიშნა სახემწიფო რჩევის წევრად, თანამდებობანი კი ისევ ეხლანდელნი აბარია.

იმ ხმების გამო, რომ ადგილობრივი კრება უნდა შეიყაროსო, «ს.-პეტერბურგის უწყებანი» ამბობენ, რომ ახალი კრება გამოწვეულია კატოლიციზმის თავგასულობით, რომელმაც თავი იჩინა ქსენძის მორავიჩის საქმეში. ეს თავ-გასულობა დაიწყო პოლშელ ეპისკოპოსების დანიშვნის დღიდამაო.

**ბრიუსელი.** როდესაც საშუალო სასწავლებლების შეგირდებს საჩუქრებს ურიგებდენ, დიდი არეულობა მოხდა, თუმცა მეფე-დედოფალნი იქ იყვნენ. მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა უკმაყოფილება ამ დემონსტრაციის გამო და დაადგინა, რომ ხემწიფის პიროვნობა პარტიათა ბრძოლის გარეშე უნდა დარჩესო.

**კაირი.** გორდონის ადიუტანტი პოლკოვნიკი სტიუარტი ღალატით მოჰკლეს უდაბნოში.

---

# ცნობანი

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა— — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 7 კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | 6 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 7 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | — კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | — კ. |

---

# განცხადებანი

**სომეხთ ნერსესიან სასულიერო სემინარიის სამზრუნველო საბჭოში** ოქტომბრის 10, საღამოს 8 საათზე იქნება ვაჭრობა (განუმეორებლად) **ოც-და-ერთის** დუქნის იჯარით მისაცემლად. ამ დუქნებს გვერდზე ხის სარაიები აქვთ სამჭედლოებისათვის და იმყოფებიან ნერსესიან სემინარიის ძველის სახლის პირ-და-პირ. პირობათა შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ-დღე კვირა-უქმის გარდა დილის 10—12 საათამდე. (3—1)

**გამოვიდა და ისყიდება**

**თბილისში** — „ნობათი“-ს რედაქციაში (ალექსანდროვის ბაღთან, ხაზინის გვერდით, თუმანიშვილის სახლში № 7), შავერდოვის საგენტოში და **ქუთაისში** — ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში

**თორნიკე ერისთავი**

**ისტორიული პოემა**

თხზ. აკაკისა. გამოცემა ჟურნალი „ნობათი“-ს რედაქციისა.

ფასი ერთი მანათი.

ვინც ამ წიგნს პირ-და-პირ „ნობათი“-ს რედაქციიდამ დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი არ გადახდება. (5—2)

**არწრუნისეულ ქარვასლაში**

სასახლის ქუჩაზედ, იძლევა ქირით მაღაზიები, სადგურები კანტორებისა, სავაჭრო სახლებისა და საწყობებისათვის. პირობების შეტყობა შეიძლება ქარვასლის კანტორაში. (25—17)

**კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზა.**

**განცხადება**

კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზის მმართველობა ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ 30 სექტემბერს და 1-ს ოქტომბერს მცხეთობას წამსვლელთათვის წასვლა-წამოსასვლელად დანიშნულნი არიან განსაკუთრებული მატარებლები ქვემო აღნიშნულის რიგით, მატარებლებში კი, რომელნიც მუდამ დადიან—მცხეთის მოგზაურნი არ მიიღებიან.

30 სექტემბერს

| თბილისიდამ | მცხეთიდამ |
|---|---|
| ღამისა 6 საათზე. | ღამისა 7 საათ. |

1-ლს ოქტომბერს

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დილისა | 7 | საათზე | 12 | მინ. | დილისა | 8 | საათ. | 21 | მინ. |
| | 9 | ,, | 15 | ,, | | 10 | ,, | 20 | ,, |
| | 10 | ,, | 23 | ,, | | 11 | ,, | 32 | ,, |
| | 11 | ,, | 35 | ,, | შუადღისას | 12 | ,, | 40 | ,, |
| შუადღისას | 2 | ,, | 42 | ,, | | 4 | ,, | 25 | ,, |
| | 4 | ,, | 28 | ,, | | 5 | ,, | 35 | ,, |
| | 5 | ,, | 38 | ,, | | 6 | ,, | 45 | ,, |
| ღამისა | 6 | ,, | 48 | ,. | ღამისა | 8 | ,, | 20 | ,, |

ბილეთები გაიყიდება მარტო თბილისის სტანციაზე მცხეთაში წასასვლელად და წამოსასვლელად. ამ ბილეთებით შეიძლება მოგზაურობა მარტო ი.მ საგანგებო მატარებლებით, რომელნიც 30 სექტემბერს და 1 ოქტომბერს მცხეთასა და თბილისს შუა ივლიან.

რადგანაც თითოეულს მატარებელში იქნება: 1 კლასში 48 ადგილი, 2 კლასში—128 და 3 კლასში—600, ამისათვის მოგზაურებს არ შეუძლიანთ საყვედური განაცხადონ, როცა ეს ადგილები მთლად დაჭერილი იქნება და უნდა უცადონ სხვა პოეზდს.

იმ მოგზაურებს, რომელნიც მატარებელში უბილეთოთ იქნებიან, გამოერთმევათ ორჯელ მომეტებული ფასი და მიეცემათ საკუთარი ბილეთები, რომელნიც ექნებათ რკინის გზის აგენტებს.

1 ოქტომბერს მცხეთის მეიდანზე, ფოსტისა და რკინის გზის სტანციების შუა, დაუკრამს სამხედრო მუზიკა, დილის თერთმეტ საათიდამ ღამის ათს საათამდინ.

ის პირნი, რომელნიც ისურვებენ საგანგებო მატარებლებით წა ოსვლას 30 სექტემბერს და 1-ლ ოქტომბერს მცხეთიდამ თბილისში, იმათთვის ბილეთები გაიყიდება მცხეთაში. (3—2)

*Доз. ценз. Тифлисъ, 25 Сентября 1884 г.* სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი